საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12629/01
28/12/2020

12629-01-2-202012281651

შპს „აისის“ დირექტორს
ბატონ თეიმურაზ მათითაშვილს

მის: თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. №12, მე-8 შესასვლელი, მე-4 სართული, №13.4

ასლი: *სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს*

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 6 ნოემბრის №201106-002 (სამინისტროს რეგისტრაციით №17487 09.11.2020) წერილი, რომელიც ეხება სამინისტროს 2020 წლის 23 სექტემბრის N9100/01 წერილით გათვალისწინებული შენიშვნების საფუძველზე, „ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისის“ მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის No2-240 ბრძანების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით დოკუმენტაციის წარმოდგენას, ასევე თქვენი 2020 წლის 9 ნოემბრის N17480 წერილით წარმოდგენილ ,,მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2) მშენებლობისათვის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საწარმოს და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის” სკრინინგის განცხადებას.

თქვენი 2020 წლის 15 სექტემბრის No200915-001 (სამინისტროს რეგისტრაციით - No14601) წერილით, სამინისტროში წარმოდგენილ იქნა სოფელ დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის, ასევე, სოფელ ჩუნჩხას მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი საცხოვრებელი ბანაკის Shp ფაილები განმარტებით ბარათთან ერთად, რომელიც მოიცავდა სამშენებლო მოედნისა და საცხოვრებელი ბანაკის გეოგრაფიულ მდებარეობას, ფუნქციასა და მნიშვნელობას.

აღნიშნულ წერილზე, სამინისტროს 2020 წლის 23 სექტემბრის N9100/01 წერილით გეცნობათ, რომ მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №2-240 ბრძანების მე-9 პუნქტი

ითვალისწინებს სამშენებლო მოედნების/ბანაკების დეტალური პროექტის Shp ფაილებთან ერთად სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვება, ასევე თუ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები, სავალდებულოა უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, სამინისტროსთან შეთანხმებულ იქნეს ჰაერდაცვითი („ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ - იმ შემთხვევაში, თუ სტაციონარული წყაროების ოპერირებას განახორციელებს შპს „აისი“ ან „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“ - კონტრაქტორის შემთხვევაში) და წყალდაცვითი დოკუმენტები („ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების“ პროექტი - შპს „აისის“ მიერ). ასევე, გეცნობათ, რომ სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამშენებლო მოედნის/ბანაკის დეტალური პროექტი, სადაც ასახული იქნებოდა გეოლოგიური და ჰიდროლოგიური საკითხები შესაბამის ნახაზებთან ერთად, ხოლო Shp ფაილებით უნდა წარმოდგენილიყო სამშენებლო მოედნის/ბანაკის საპროექტო ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე არსებული და საპროექტო ობიექტების მდებარეობა.

ამჟამად, 2020 წლის 6 ნოემბრის №201106-002 (სამინისტროს რეგისტრაციით №17487 09.11.2020) წერილით წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საწარმოს და ნავთობპროდუქტების საცავის (რეზერვუარის) სამშენებლო ბანაკის პროექტი, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ ბანაკსაც, ასევე წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკისა და საცხოვრებელი ბანაკის Shp ფაილები, ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) პროექტი და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

გაცნობებთ, რომ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მინისტრის 2020 წლის 12 მარტის No2-240 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ითვალისწინებს **ახალქალაქი 1 ჰესის და საპროექტო 35 კვ. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის სამშენებლო ბანაკის** მოწყობას სოფ. დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე, **ხოლო ახალქალაქი 2 ჰესის სამშენებლო ბანაკის** მოწყობას მდ. კორხის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე მდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინისტრის 2020 წლის 12 მარტის No2-240 ბრძანების მე-9 პუნქტი და სამინისტროს 2020 წლის 23 სექტემბრის N9100/01 წერილი ეხება **პროექტის გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკების თაობაზე დეტალური პროექტების წარმოდგენას.** შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკების მოწყობისა და 2020 წლის 6 ნოემბრის №201106-002 წერილით წარმოდგენილი **ახალქალაქი 1 და 2 ჰესებისთვის სამშენებლო ბანაკის** საკითხი, რომლის მოწყობაც დაგეგმილია მდ. ფარავანის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ შერჩეულ ტერიტორიებზე. ამასთან,

მითითებულია, რომ მუშების საცხოვრებელად გამოყენებული იქნება არსებული ბანაკის ტერიტორია, რომელიც მოწყობილი იყო ფარავანი ჰესის მშენებლობის პერიოდში.

წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ აღნიშნული სამშენებლო ბანაკი, გზშ-ის ანგარიშში მითითებული სოფ. დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული **ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამშენებლო ბანაკიდან დაშორებულია დაახლოებით 3800 მ-ით**, ხოლო **ახალქალაქი 2 ჰესის სამშენებლო ბანაკიდან დაახლოებით 2800 მეტრით.**

შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის განხილული 2020 წლის 6 ნოემბრის №201106-002 წერილით წარმოდგენილი **ახალქალაქი 1 და 2 ჰესებისთვის სამშენებლო ბანაკისა და საცხოვრებელი ბანაკის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელი დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ: 63.14.34.003) და სოფელი ჩუნჩხას მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ: 63.12.31.008)** მოწყობის საკითხი, ასევე ბანაკის პროექტში მოცემული სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის (რეზერვუარის) მოწყობა-ექსპლუატაცია, შესაბამისად სამინისტროს არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც წარმოადგენს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას რაც ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს მინისტრის 2020 წლის 12 მარტის No2-240 ბრძანების მე-9 პუნქტის შესრულების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ასევე გაცნობებთ, რომ სამინისტროში წარმოდგენილ უნდა იქნას განახლებული სკრინინგის განცხადება, პროექტში დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, მათ შორის საცხოვრებელი ბანაკის თაობაზე, რის შემდგომაც სამინისტრო უზრუნველყოფს სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე